# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა**

**განხორციელების ვადა:** 01.08.2020 - 31.12.2023

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 642 308

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Public Service Development Agency

**პროექტის ვებსაიტები:** migration.commission.ge

**პროექტის აღწერა:**

პროექტი მუშაობს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან (მსსკ) ერთად და მხარს უჭერს საქართველოში მიგრაციის მართვის მდგრადი სისტემის შემუშავების მესამე ფაზის განგრძობასა და მის წარმატებით დასრულებაში, რაც ეფუძნება საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში ასახულ გრძელვადიან ხედვას და პრიორიტეტებს. აღნიშნული ითვალისწინებს 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებას და დამტკიცებას, მიმდინარე (2016-20 წწ.) სტრატეგიის განხორციელებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე და ასევე, მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის (მეას) მიერ დამუშავებული მონაცემების ანალიზის შედეგად. მეას-ის შემდგომი განვითარება გაზრდის მისი გამოყენების ინტენსივობას ძირითადი ანალიტიკური დოკუმენტების შემუშავებისას (მაგ.: მიგრაციის პროფილები, თემატური კვლევები და სხვ.), რაც უფრო ეფექტურს გახდის რისკების ანალიზისა და შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს. დამატებით, მსსკ-ს სამდივნო ხელს შეუწყობს მიგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგიის განხორციელებას მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების/დამტკიცების პროცესის კოორდინაციისა და მათი განხორციელების შეფასების და მონიტორინგის გზით, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებისა და საჯარო რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული და 2020 წლიდან ამოქმედებული, პოლიტიკის დაგეგმვის ახალი რეგულაციების შესაბამისად.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- დაწყებულია 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის შესრულება და შემუშავებულია მისი 2021-2024 წწ. სამოქმედო გეგმები (ასოცირების დღის წესრიგისა და საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში შემუშავებული, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული და 2020 წლიდან ამოქმედებული პოლიტიკის დაგეგმვის ახალი რეგულაციების შესაბამისად);
- ხორციელდება მიგრაციის სფეროში მიმდინარე ყველა აქტივობის ეფექტური კოორდინაცია და მართვა და უზრუნველყოფილია მათი მდგრადობა მიმდინარე პროექტის ფარგლებს მიღმა, მსსკ-ის წევრ უწყებათა ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდის შედეგად;
- მიგრაციის სფეროში მტკიცებულებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით იქმნება შესაბამისი ანალიტიკური პროდუქტები (მაგ.: მიგრაციის პროფილი) მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის გამოყენებით; ტარდება თემატური კვლევები 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ თემებზე, რომლებიც გამყარებულია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით;
- საქართველო თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი მიგრაციის საერთაშორისო პლატფორმებზე, რაც უზრუნველყოფს გამოცდილების გაცვლას და ევროკავშირის მხარდაჭერით ეროვნულ დონეზე განხორციელებული საუკეთესო ინიციატივების წარმოჩენას;
- მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო კამპანიის (განსაკუთრებული აქცენტით ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე)